

სს ალიანს ჯგუფი ლიზინგი

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 ივლისს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
<i>ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები</i>	
1. ძირითადი საქმიანობა	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	6
4. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა	12
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	14
6. საპროცენტო შემოსავალი, წმინდა	16
7. გაუფასურების რეზერვის ამობრუნება / (დარიცხვა)	16
8. თანამშრომელთა ხარჯები	16
9. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	17
10. საკუროსო ზარალი, წმინდა	17
11. სხვა შემოსავალი	17
12. მოგების გადასახადი	17
13. ფული და ფულის ეკვივალენტები	18
14. ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში	18
15. გაცემული სესხები	18
16. სხვა აქტივები	19
17. საინვესტიციო ქონება	19
18. ძირითადი საშუალებები	20
19. ინვესტიციები ასოცირებულ კომპანიებში	21
20. გადასახდელი ობლიგაციები	21
21. მიღებული სესხები	21
22. სააქციო კაპიტალი	22
23. ფინანსური რისკის მართვა	22
24. ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	24
25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	25

სს ალიანს ჯგუფი ლიზინგი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 ივლისის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)


	განმარტებითი შენიშვნები	31 ივლისი, 2019	31 ივლისი, 2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	27,257	111,538
ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში დღგ-ს ჩათვლით		2,470,036	4,226,964
გამოკლებული: გადავადებული დღგ		(22,356)	(387,036)
ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში	14	2,447,680	3,839,928
გაცემული სესხები	15	5,146,085	3,975,898
ლიზინგის აქტივის მომწოდებლებზე გადახდილი ავანსებუ		30,877	30,877
სხვა აქტივები	16	610,549	645,157
საინვესტიციო ქონება	17	240,000	262,000
ძირითადი საშუალებები	18	355,596	377,818
არამატერიალური აქტივები		4,236	3,962
ინვესტიციები ასოცირებულ კომპანიებში	19	-	853,290
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი		2,686	2,978
სხვა საგადასახადო აქტივი		-	54,691
სულ აქტივები		8,864,966	10,158,137
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება და სხვა ვალდებულებები		3,522	39,916
ლიზინგისთვის მიღებული ავანსები		28,524	28,525
გადასახდელი ობლიგაციები	20	382,818	90,809
მიღებული სესხები	21	3,109,312	4,738,339
საგადასახადო ვალდებულება		10,082	-
სულ ვალდებულებები		3,534,258	4,897,589
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	22	3,417,140	3,417,140
აკუმულირებული მოგება		1,235,863	1,177,703
რეზერვები		677,705	665,705
სულ კაპიტალი		5,330,708	5,260,548
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		8,864,966	10,158,137

ხელმძღვანელობის სახელით:


გენერალური დირექტორი

12 დეკემბერი, 2019

თბილისი, საქართველო


მთავარი ბუღალტერი

12 დეკემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

6-25 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ამ ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს ალიანს ჯგუფი ლიზინგი
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 ივლისის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	განმარტებითი შენიშვნები	2019	2018
საპროცენტო შემოსავალი		1,145,269	1,467,793
საპროცენტო ხარჯი		(405,430)	(559,098)
საპროცენტო შემოსავალი, წმინდა	6	739,839	908,695
გაუფასურების რეზერვის ამოზღუპვა / (დარიცხვა)	7	(230,952)	(106,803)
წმინდა ფინანსური შემოსავალი, გაუფასურების დარიცხვის შემდგომ		508,887	801,892
საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული მოგება		-	180,814
თანამშრომელთა ხარჯები	8	(368,568)	(360,293)
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	9	(333,804)	(348,783)
წმინდა საკუროსო ზარალი	10	(102,628)	(25,344)
სხვა შემოსავალი, წმინდა	11	1,189,706	571,244
სხვა ხარჯები		(835,433)	(85,427)
მოგება დაზღვრამდე		58,160	734,103
მოგების გადასახადის ხარჯი	12	-	-
წლის სრული შემოსავალი		58,160	734,103

ხელმძღვანელობის სახელით:


გენერალური დირექტორი

12 დეკემბერი, 2019

თბილისი, საქართველო


მთავარი ბუღალტერი

12 დეკემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

6-25 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ამ ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს ალიანს ჯგუფი ლიზინგი
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
2019 წლის 31 ივლისის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	სააქციო კაპიტალი	რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 ივლისი, 2017	3,417,140	665,705	443,600	4,526,445
წლის სრული შემოსავალი	-	-	734,103	734,103
31 ივლისი, 2018	3,417,140	665,705	1,177,703	5,260,548
წლის სრული შემოსავალი	-	12,000	58,160	70,160
31 ივლისი, 2019	3,417,140	677,705	1,235,863	5,330,708

ხელმძღვანელობის სახელით:


გენერალური დირექტორი
12 დეკემბერი, 2019
თბილისი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი
12 დეკემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

6-25 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ამ ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს ალიანს ჯგუფი ლიზინგი
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2019 წლის 31 ივლისის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
ფულადი შემოსავალი ფინანსური ლიზინგიდან	2,935,582	3,311,230
ფულადი შემოსავალი კლიენტებისგან	1,481,777	35,989
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(597,749)	(3,043,097)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(266,840)	(275,016)
ფულის შემოღინება საოპერაციო საქმიანობიდან	3,552,770	29,106
გადახდილი გადასახადები	(599,581)	(382,580)
მიღებული პროცენტი	250,034	340,595
გადახდილი პროცენტი	(28,052)	(1988)
გადახდილი ბანკის საკომისიო	(35,154)	(25,368)
წმინდა ფულის შემოღინება საოპერაციო საქმიანობიდან	3,140,017	(40,235)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ინვესტიციები ასოცირებულ კომპანიაში	143,900	190,191
ფულადი შემოღინება / (გასავალი) გაცემული სესხებიდან	(752,008)	787,423
წმინდა ფულის შემოღინება საინვესტიციო საქმიანობიდან	(608,108)	977,614
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	(2,617,368)	(1,129,954)
გაცემული ობლიგაციები	(7,441)	34,374
წმინდა ფულადი გასავალი ფინანსური საქმიანობიდან	(2,624,809)	(1,095,580)
წმინდა ფულის შემცირება	(92,900)	(158,201)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	111,538	269,602
საკურსო სარგებელი ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე	8,619	137
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	27,257	111,538

ხელმძღვანელობის სახელით:


გენერალური დირექტორი

12 დეკემბერი, 2019

თბილისი, საქართველო


მთავარი ბუღალტერი

12 დეკემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

6-25 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ამ ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ძირითადი საქმიანობა

სს ალიანს ჯგუფი ლიზინგის (შემდგომში „კომპანია“) წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 ივლისის დასრულებული წლისთვის გამოსაშვებად დამტკიცდა 2019 წლის 12 დეკემბერს დირექტორის რეზოლუციით.

კომპანია წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია საქართველოში და მოქმედებს საქართველოს კანონების და რეგულაციების შესაბამისად. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია N47.57 კოსტავას ქუჩა, თბილისი, საქართველო.

კომპანიის მმართველო ორგანო არის საზედამხებელო საბჭო, რომლის წევრებიც არიან აიეტი კუკავა, სალომე თოდუა და ზვიად კუკავა. კომპანიის ყოველდღიური საქმიანობა ხორციელდება დირექტორის ხელმძღვანელობით. კომპანიის დირექტორი არის აიეტი კუკავა.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ფინანსური ლიზინგის გაცემა.

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული ქვემოთ წარმოდგენილი ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკის მიხედვით.

წინა წლის ფინანსური ანგარიშგება ასევე მომზადებული იყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია განაგრძს საქმიანობას როგორც ფუნქციონირებადი საწარმო და მათ არ აქვთ რაიმე მიზანი კომპანიის საქმიანობის შეწყვეტის.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ იყო ძალაში შესული 2018 წლის 1 იანვარს დაწყებული ფინანსური წლისთვის. *ფასს 16* „იჯარა“ რომელიც ძალაში უნდა შევიდეს 2019 წლის 1 იანვრიდან, შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუმცა ამ ეტაპზე, დეტალური განხილვის დასრულებამდე, ამ გავლენის შეფასება არაპრაქტიკულია.

მოგების გადასახადი

საგადასახადო ხარჯები წარმოადგენს მთლიან თანხას, რომელიც შედის მოგება-ზარალში მიმდინარე საგადასახადო და გადავადებული საგადასახადო პერიოდისათვის.

2017 წლის იანვრიდან საქართველოში მოგების გადასახადის აღრიცხვის წესი შეიცვალა და ამ თარიღიდან კომპანიის საგადასახადო მოგება ან ზარალი თანხვედრაშია საერთაშორისო ფინანსური

სტანდარტების მიხედვით მიღებულ მოგებას ან ზარალთან, რაც თავის მხრივ აუქმებს გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების აღიარების საფუძველს ამ თარიღიდან. შესაბამისად კომპანიის მოგების გადასახადი წარმოადგენს კომპანიის მიერ გაცხადებულ და გაცემულ დივიდენდებზე დარიცხულ გადასახადს, ასევე ისეთი ტიპის ხარჯის გადასახადს, რომელის შინაარსობრივად გათაბრებულია დივიდენდთან.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

თავდაპირველი აღირება

აღიარების თარიღი

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

თავდაპირველი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებლო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელზე. თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური აქტივი და ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მაშინ ამ თანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

2018 წლის 1 იანვრიდან, კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელიდან და სახელშეკრულებლო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ამორტიზირებული ღირებულება;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენდა კლიენტებზე გაცემულ სესხებად და მოთხოვნებად (ამორტიზირებული ღირებულება), გასაყიდად გამიზნულად ან დაფარვის ვადამდე ფლობილად (ამორტიზირებული ღირებულება).

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი გამიზნულია ვაჭრობისთვის, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან სამართლიანი ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

კლიენტებზე გაცემული სესხები, საინვესტიციონ ფასიანი ქაღალდები ამორტიზირებული ღირებულებით

2018 წლის 1 იანვრამდე კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავდა არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყო კოტირებული აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ აქტივებისა:

- რომლებსაც კომპანია უპირებს დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში გაყიდვას;
- რომლებსაც კომპანია თავდაპირველი აღიარებისას მიაკუთვნებს სამართლიანი ღრებულებით მოგებაში ან ზარალში ასახულის ან გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას;
- რომლებზეც კომპანიამ შეიძლება სრულად ვერ ამოიღოს თავდაპირველი ინვესტიცია ამა თუ იმ მიზეზით, გარდა კრედიტის გაუარესების მიზეზისა, და რომელიც მიეკუთვნება გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას.

2018 წლის 1 იანვრიდან კომპანია ახდენს კლიენტებზე გაცემული სესხების და სხვა ფინანსური ინვესტიციების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.

ზემოთხსენებული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

ბიზნესმოდელის შეფასება

კომპანიის ბიზნესმოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად.

კომპანიის ბიზნესმოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორიც არის, მაგალითად:

- როგორ ხდება ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;
- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნესმოდელის (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;
- რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);
- მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის შესაფასებლად.

ბიზნეს მოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნესმოდელის შეფასების თარიღით საწარმოს მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნესმოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება

კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარადა ან პრემიუმის/ დისკონტის ამორტიზაცია).

ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. იმისათვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, კომპანია მიმართავს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი.

ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

გაცემული სესხები და მოთხოვნები

2018 წლის 1 იანვრამდე, გაცემული სესხები და მოთხოვნები წარმოადგენდნენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყვნენ კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ იყო განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ იყო კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. ასეთი აქტივები აღირიცხებოდა ამორტიზირებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდებოდა მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდებოდა სესხებისა და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტა ან გაუფასურება, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს.

ნასესხები თანხები

ნასესხები თანხები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის შემენას, აშენებას ან წარმოებას, რასაც აუცილებლად სჭირდება დროის დიდი პერიოდი, რათა მზად იყოს თავისი ფუნქციური გამოყენებისათვის ან გაყიდვისათვის, კაპიტალიზდება, როგორც შესაბამისი აქტივის ღირებულების ნაწილი. ყველა სხვა სასესხო ხარჯები ჩაითვლება ხარჯებში იმ პერიოდისათვის, როდესაც ისინი ხორციელდება. სასესხო ხარჯები შედგება სარგებლისა და სხვა ხარჯებისგან, რასაც

პირი გასწევს თანხების სესხებასთან დაკავშირებით. კომპანიას ნასესხები აქვს თანხები ბანკისგან თავისი ძირითადი საქმიანობების დასაფინანსებლად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილ გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის მოსაკრებლის და არანაზღაურებადი შეძენის გადასახდების და სხვა პირდაპირ მიკუთვნებული გადასახდების ჩათვლით. როდესაც ძირითადი საშუალების ერთეული შეადგენს მთავარ კომპონენტებს, რომელსაც აქვს ექსპლუატაციის სხვადასხვა ვადა, ისინი ითვლება, როგორც ცალკეული ძირითადი საშუალების ერთეული.

წარმოების, საიჯარო ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის ან ჯერ არ განსაზღვრული მიზნებისათვის მშენებლობის პროცესში მყოფი ქონება აისახება შეძენის ფაქტობრივი ღირებულებით, აღიარებული მატერიალური ფასეულობის გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ფასი მოიცავს პირდაპირ მიკუთვნებულ ხარჯებს, ადგილმდებარეობის მომზადებას, დამონტაჟების და აწყობის ხარჯებს, კვალიფიცირებადი აქტივების პროფესიულ მოსაკრებლებს, აგრეთვე სასესხო ხარჯებს, რომლებიც კაპიტალიზდება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად.

ქონების და აღჭურვილობის კომპონენტის, რომელიც ცალკე აღირიცხება, შესაცვლელი ხარჯები კაპიტალიზდება ჩამოწერილი კომპონენტების საანგარიშო ღირებულებით. სხვა მომდევნო ხარჯი კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი წარმოიშობა ამ ხარჯებისგან. ყველა სხვა ხარჯი აღიარებულია შესაბამისი პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

საკუთრებაში არსებული მიწა არ ამორტიზირდება. ყველა სხვა აქტივებისათვის, ამორტიზაცია ირიცხება იმგვარად, რომ აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის:

ძირითადი საშუალების ჯგუფი

სასარგებლო პერიოდის ვადა

მსხმოიარე ნარგავები	15
საოფისე ინვენტარი	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10

ძირითადი საშუალების ერთეული ჩამოიწერება ლიკვიდაციისას ან როდესაც მისი გამოყენების ან გასხვისებისგან აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის ჩამოწერისას (გაანგარიშებული, როგორც სხვაობა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და აქტივების საანგარიშო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალის ანგარიშში, როდესაც აქტივი ჩამოიწერება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომელიც შეძენილია კომპანიის მიერ და რომელთაც აქვთ განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადები, ნაჩვენებია საბალანსო ღირებულებით, დაგროვილი საამორტიზაციო და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, რომელს შედის ტრანზაქციის ხარჯებიც. თავდაპირველი აღიარების შემდგომ საინვესტიციო ქონება აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ასახავს საბაზრო პირობებს ანგარიშგების თარიღისთვის. მოგება ან ზარალი მიღებული საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილებიდან აისახება მოგება-ზარალში იმ პერიოდში როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რაშიც გაითვალისწინება შესაბამისი საგადასახადო ხარჯი. სამართლიანი ღირებულება

სს ალიანს ჯგუფი ლიზინგი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 ივლისის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

საინვესტიციო ქონების განისაზღვრება სერტიფიცირებული დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, რომელიც იყენებს საერთაშორისო შემფასებელთა სტანდარტების კომიტეტის რეკომენდაციებს.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მაშინ როდესაც ისინი გასხვისდება ან როდესაც მათი გამოყენება სამუდამოდ წყდება ან როდესაც მათ არ მოაქვთ არანაირი ეკონომიკური სარგებელი. სხვაობა გასხვისებიდან მიღებული შემოსავლიდან და საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულებიდან აისახება მოგება-ზარალში.

ტრანსფერი საინვესტიციო ქონებაში ან საინვესტიციო ქონებიდან ხდება მაშინ, როდესაც იცვლება აქტივის გამოყენების შინაარსი. საინვესტიციო ქონებიდან აქტივის გადასმის დროს მფლობელის მიერ მოხმარებულ ქონებაში, აქტივის საბალანსო ღირებულებად აიღება აქტივის დანიშნულების ცვლილების მომენტში არსებული სამართლიანი ღირებულება.

არა-ფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშო პერიოდში, ქონება, ქარხანა და აღჭურვილობა, არამატერიალური აქტივები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების დანაკარგი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

წარსადგენი ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი-საკურსო სხვაობა.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელის გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 ივლისი, 2019	31 ივლისი, 2018
1 USD/GEL	2.9507	2.4474
1 EUR/GEL	3.2889	2.8591
	2019	2018

წლის საშუალო გაცვლითი კურსი

1 USD/GEL	2.6885	2.4905
1 EUR/GEL	3.0788	2.8951

4. სტანდარტები, რომლებიც გამოიყენება მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გამოცემული 2014 წლის ივლისში) – აღნიშნული სტანდარტი ცვლის ბასს 39-ს (და ფასს 9-ს ყველა წინა ვერსიას) რომლებიც ამოქმედდება ყოველწლიური პერიოდისათვის 2018 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული. იგი მოიცავს მოთხოვნებს ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების გაუფასურების, ხეჯირების აღრიცხვის და ჩამოწერის კლასიფიკაციასა და შეფასებასთან დაკავშირებით.

o ფასს 9 მოითხოვს, რომ ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი რიგის მიხედვით იყოს შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით (მოგების ან ზარალის საშუალებით, ან სხვა ერთობლივი შემოსავლის საშუალებით), მათი კლასიფიკაციის გათვალისწინებით იმ ბიზნეს მოდელთან მიმართებაში, რომლის ფარგლებშიც მათ ფლობენ და მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადის მახასიათებლებთან მიმართებაში.

o ფინანსური ვალდებულებებისათვის, ფასს 9 -ს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა უკავშირდება შემთხვევებს, როდესაც გამოყენებულია სამართლიანი ღირებულების არჩევანი: ცვლილების ოდენობა ფინანსური ვალდებულების სამართლიან ღირებულებაში, რომელიც მიეკუთვნება მოგების ან ზარალის საშუალებით სამართლიანი ღირებულებით გადაფასებად კატეგორიას, რომელიც შეესაბამება ცვლილებებს ამ ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკში, აღიარებულია სხვა ერთობლივ შემოსავალში უფრო მეტად ვიდრე მოგება-ზარალში) თუ აღნიშნული არ ქმნის საანგარიშო ცდომილებას.

o ფინანსური აქტივების გაუფასურებისათვის, ფასს 9 წარმოადგენს „მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის“ მოდელს კონტრაქტის შესავალ ნაწილში მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინების კონცეფციაზე დაყრდნობით; გაუფასურების ობიექტური მტკიცებულების არსებობა აღარ იქნება საჭირო საკრედიტო ზარალის აღიარებამდე.

o ხეჯირების აღრიცხვისათვის, ფასს 9 წარმოადგენს არსებით ზედმიწევნით ნებართვას ფინანსური ანგარიშებისათვის, უკეთესად ასახოს თუ როგორ ხორციელდება რისკის მართვის ღონისძიებები ფინანსური და არა-ფინანსური რისკების საფრთხეების ხეჯირებისას.

o დებულებები გაუფასურების შესახებ თითქმის უცვლელად გადადის ბასს 39-დან. მენეჯმენტი მოელის, რომ ფასს 9 მიღებული იქნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშებში, როდესაც იგი სავალდებულო გახდება და რომ ახალი სტანდარტის გამოყენებას ექნება მნიშვნელოვანი შედეგი იმ თანხებზე, რაც მოცემული იქნება ანგარიშში კომპანიის ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით. თუმცა, შეუძლებელია ამ გავლენის გონივრული შეფასების წარმოდგენა, სანამ არ დასრულდება დეტალური

ფასს 15 „შემოსავალი კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებებიდან“ (გაცემული 2014 წლის მაისში) - ახალი სტანდარტი, რომელიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისათვის 2018 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, რომელიც ცვლის IAS 11, IAS 18 და მათ განმარტებებს (SIC-31 და IFRIC 13, 15 და 18). იგი ადგენს ერთეულ და ყოვლისმომცველ ჩარჩოს შემოსავლის აღიარებისათვის, რათა გამოყენებული იქნას გულმოდგინედ გარიგებების, წარმოებების და კაპიტალის ბაზრებზე, საბაზისო პრინციპით (დაფუძნებული ხუთნაბიჯიან მოდელზე, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან დადებულ ყველა კონტრაქტზე), ინფორმაციის მთლიან გახსნა ჩადენილი სამართალდარღვევების შესახებ (და ახალი ან გაუმჯობესებული მითითებები (მაგ პუნქტი, რომელზედაც შემოსავალი არის აღიარებული, აღრიცხვა ცვლადი ანაზღაურებისათვის, კონტრაქტების შესრულების და მოზიდვის ხარჯები და სხვა), მენეჯმენტი მოელის, რომ IFRS 15 მიღებული იქნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშებში, როდესაც იგი სავალდებულო გახდება და რომ ახალი სტანდარტის გამოყენებას ექნება მნიშვნელოვანი შედეგი იმ თანხებზე, რაც მოცემული იქნება

ანგარიშში კომპანიის შემოსავლებთან დაკავშირებით. თუმცა, შეუძლებელია ამ გავლენის გონივრული შეფასების წარმოდგენა, სანამ არ დასრულდება დეტალური განხილვა ფასს 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასიკ (IFRIC) 4-ს „როგორ განესაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა – სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის – „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი. მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორც ბასს 17-ის მიხედვით და გამოიყენებს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს. ფასს 16, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, მოიჯარეებს და მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა. კომპანია ფასს 16-ის მიღებას აპირებს რეტროსპექტულად, ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენების ჯამური (კუმულაციური) ეფექტით, რომელიც აღიარებულია თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის. კომპანია გადაწყვეტს სტანდარტის გამოყენებას იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე, ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის გამოყენებით, იჯარებად განისაზღვრებოდა. ამიტომ კომპანია არ გამოიყენებს სტანდარტს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე არ განისაზღვრებოდა იჯარის შემცველად ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის გამოყენებით. კომპანია გადაწყვეტს სტანდარტით გათვალისწინებული გამონაკლისების გამოყენებას იმ საიჯარო კონტრაქტებზე, რომელთა მიხედვითაც, იჯარის ვადა მთავრდება 12 თვეში თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის, და აგრეთვე იმ საიჯარო კონტრაქტებზე, რომელთა საბაზისო აქტივი დაბალი ღირებულებისაა. კომპანიის იჯარით აქვს აღებული ფილიალები, რომელთაგან ნაწილი გაფორმებულია 1 წელზე მეტი ვადით. კომპანია ამჟამად აფასებს ფასს 16-ის მიღების გავლენას, მაგრამ ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის არ მოელის, რომ ამ სტანდარტს რამე მნიშვნელოვანი გავლენა ექნება მის საკუთარ კაპიტალზე.

ფასიკ (IFRIC) 23-ის ინტერპრეტაცია – „მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებული გაურკვევლობა“ ინტერპრეტაცია ეხება მოგების გადასახადების აღრიცხვას ისეთ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო დაბეგვრა შეიცავს გაურკვევლობას, რაც გავლენას ახდენს ბასს 12-ის გამოყენებაზე. იგი არ ვრცელდება ბასს 12-ის მოქმედების არეალის მიღმა მყოფ გადასახადებზე და მოსაკრებლებზე, ამასთან იგი არ მოიცავს კონკრეტულ მოთხოვნებს გაურკვევლობის შემცველ საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებული ჯარიმებისა თუ საურავების შესახებ. ინტერპრეტაცია კონკრეტულად მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- კომპანია ინდივიდუალურად განიხილავს თუ არა გაურკვეველი საგადასახადო დაბეგვრის წესებს;
- დაშვებები, რომლებსაც კომპანია აკეთებს საგადასახადო ორგანოების მიერ გამოყენებული საგადასახადო დაბეგვრის წესების შემოწმების შესახებ;

- როგორ განსაზღვრავს კომპანია დასაბეგრ მოგებას (საგადასახადო ზარალს), საგადასახადო ზაზებს, გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს, გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტებს და საგადასახადო განაკვეთებს;
- როგორ განიხილავს კომპანია ცვლილებების შეტანას ფაქტებსა და გარემოებებში.

კომპანიამ უნდა განსაზღვროს, გაურკვევლობის შემცველი თითოეული საგადასახადო დაბეგრის შემთხვევა ცალკე განიხილოს, თუ გაურკვევლობის შემცველ ერთ ან მეტ საგადასახადო დაბეგრასთან ერთად. ამას უნდა მოჰყვეს მიდგომა, რომელიც უკეთესად ახდენს გაურკვევლობის გადაწყვეტის პროგნოზირებას. ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, თუმცა მასზე გადასვლის გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს. კომპანია ინტერპრეტაციას გამოიყენებს მისი ძალაში შესვლის თარიღიდან. კომპანია ვარაუდობს რომ ინტერპრეტაციას არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა მის კაპიტალზე.

ცვლილებები ფასს 9-ში: „საავანსო გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით“

ფასს 9-ის მიხედვით, სავალო ინსტრუმენტი შეიძლება შეფასდეს ან ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იმ პირობით, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხის და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდას“ („SPPI კრიტერიუმი“) და რომ ინსტრუმენტი ამ კლასიფიკაციის შესაბამისი ბიზნესმოდელის ფარგლებშია ფლობილი. ფასს 9-ში შესული ცვლილებები განმარტავს, რომ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს SPPI კრიტერიუმს მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ისეთი მოვლენა ან გარემოება, რომელიც იწვევს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას და განურჩევლად იმისა, თუ რომელი მხარე იხდის ან იღებს გონივრულ კომპენსაციას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისთვის.

ცვლილებები გამოყენებული უნდა იქნეს რეტროსპექტულად და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. ეს ცვლილებები გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს საბალანსო ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

გადასახდელები. გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებულია გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგებისათვის იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია, რომ დაბეგრადი მოგება ხელმისაწვდომი იყოს, რომლის მიმართ დანაკარგები იქნება გამოყენებული. მნიშვნელოვანი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები საჭიროა იმ გადადებული საგადასახადო აქტივების ოდენობის დასადგენად, რომელიც შესაძლოა აღიარებული იყოს, მსგავსი დროის გრაფიკის და მომავალი დასაბეგრი მოგების დონის საფუძველზე, სამომავლო საგადასახადო გეგმიურ სტრატეგიებთან ერთად.

ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადები. კომპანიამ იმსჯელა ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადების დადგენაზე, იმ ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული დაძველება, აქტივების მოსალოდნელი გამოყენება აქტივების მოსალოდნელ ფიზიკური მწარმოებლურობის მოცულობასთან და მოსალოდნელ ფიზიკურ ამორტიზაციასთან კავშირში, რაც დამოკიდებულია საწარმოო ფაქტორებზე. თუმცა მენეჯმენტმა განახორციელა თავისი საუკეთესო შეფასებები აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სტრუქტურის შესაქმნელად, იგი შესაძლოა არსებითად განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებიდან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშში მოყვანილ ციფრებზე.

სს ალიანს ჯგუფი ლიზინგი
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2019 წლის 31 ივლისის დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

6. საპროცენტო შემოსავალი, წმინდა

	2019	2018
საპროცენტო შემოსავალი შედგება:		
ფინანსური ლიზინგიდან	438,591	961,698
გაცემული სესხებიდან	706,678	506,095
სულ ამორტიზირებული ღირებულებით რიცხული ფინანსური აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი	1,145,269	1,467,793
საპროცენტო ხარჯი შედგება:		
მიღებული სესხებიდან	(405,430)	(559,098)
სულ საპროცენტო ხარჯი ამორტიზირებული ღირებულებით რიცხული ფინანსური ვალდებულებებიდან	(405,430)	(559,098)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯის გარეშე	739,839	908,695

7. გაუფასურების რეზერვის ამობრუნება / (დარიცხვა)

	გაცემული სესხები	კორპორატიული ფინანსური ლიზინგი	ავტო ლიზინგი	სულ
31 ივლისი, 2017	(63,603)	(193,671)	(52,306)	(309,580)
დარიცხვა / (ამობრუნება)	-	(103,370)	(3,433)	(106,803)
წლის განმავლობაში				
31 ივლისი, 2018	(63,603)	(297,041)	(55,739)	(416,383)
დარიცხვა / (ამობრუნება)	(489,833)	225,009	33,872	(230,952)
წლის განმავლობაში				
31 ივლისი, 2019	(553,436)	(72,032)	(21,867)	(647,335)

8. თანამშრომელთა ხარჯები

	2019	2018
ხელფასები	357,147	328,889
ბონუსები	9,765	27,316
დაზღვევა	1,656	4,088
სულ	368,568	360,293

სს ალიანს ჯგუფი ლიზინგი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 ივლისის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

9. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

	2019	2018
დაზღვევა	109,592	173,729
საოპერაციო ლიზინგის ხარჯი	71,178	26,613
პროფესიული მომსახურების ხარჯი	37,501	36,818
საბანკო ხარჯები	36,169	25,368
ცვეთა და ამორტიზაცია	23,283	26,558
კომუნიკაცია და კომუნალურები	21,602	33,218
საგადასახადო ხარჯი	10,483	7,742
მივლინება	6,837	2,045
რეკლამა	2,453	3,729
საკანცელარიო ხარჯი	2,439	3,391
სხვა	12,267	9,572
სულ	333,804	348,783

10. საკურსო ზარალი, წმინდა

	2019	2018
რეალიზებული საკურსო მოგება	8,619	137
არარეალიზებული საკურსო ზარალი	(111,247)	(25,481)
წმინდა საკურსო ზარალი	(102,628)	(25,344)

11. სხვა შემოსავალი

	2019	2018
შემოსავალი ჯარიმებიდან	277,972	448,952
შემოსავალი დაზღვევიდან	65,060	67,109
საკომისიო შემოსავალი	6,228	32,441
პრობლემური აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	142,287	5,119
ზარალი ფინანსური ლიზინგიდან ჩარჩენილი აქტივების რეალიზაციიდან	(97,579)	(7,379)
სხვა	939,111	25,002
სულ	1,333,079	571,244

12. მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით კომპანიებს მოგების გადასახადის გადახდა უწევთ დივიდენდის გაცემის მომენტში. კომპანიების საგადასახადო და ფასს-ის მიხედვით მოგება ერთმანეთთან თანხვედრაშია, რის შედეგადაც არ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადი.

სს ალიანს ჯგუფი ლიზინგი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 ივლისის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები 2019 წლის 31 ივლისის და 2018 წლის 31 ივლისის მდგომარეობით შემდეგია:

	31 ივლისი, 2019	31 ივლისი, 2018
ფული სალაროში	2	11
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	27,254	104,062
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	1	7,465
სულ	27,257	111,538

კომპანიას აქვს არარარსებითი ფულის ნაშთი სალაროში 2019 წლის 31 ივლისის და 2018 წლის 31 ივლისის მდგომარეობით. საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ფული და ფულის ეკვივალენტები ატარებენ ღირებულების შეცვლის მცირედ რისკს.

14. ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში

კომპანიის ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში 2019 წლის 31 ივლისის და 2018 წლის 31 ივლისის მდგომარეობით შემდეგია:

	31 ივლისი, 2019	31 ივლისი, 2018
ფინანსური ლიზინგი		
ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	2,563,936	4,579,745
გამოკლებული: გამოუმუშავებელი შემოსავალი	(22,356)	(387,036)
ფინანსური ლიზინგიდან	2,541,580	4,192,709
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(93,900)	(352,781)
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	2,447,680	3,839,928

მინიმალური ლიზინგის გადასახდელებზე მოთხოვნები კლიენტებისგან შემდეგია:

	31 ივლისი, 2019	31 ივლისი, 2018
არაუგვიანეს ერთი წლისა	1,027,795	2,380,037
არტი წლის შემდგომ და არაუგვიანეს ხუთი წლისა	1,536,141	2,199,708
მომავალი სლიზინგო გადახდები კლიენტებისგან	2,563,936	4,579,745

15. გაცემული სესხები

კომპანიის გაცემული სესხები 2019 წლის 31 ივლისის და 2018 წლის 31 ივლისის მდგომარეობით შემდეგია:

	ვალუტა	31 ივლისი, 2019	31 ივლისი, 2018
გრძელვადიანი გაცემული სესხები:			
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	ლარი	1,424,654	1,483,148
სხვა		8,154	-

სს ალიანს ჯგუფი ლიზინგი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 ივლისის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

		1,432,809	1,483,148
მოკლევადიანი გაცემული სესხები:			
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	ლარი	244,216	47,753
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	აშშ დოლარი	317,479	-
სხვა იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	ლარი	3,675,226	2,489,895
სხვა იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები		29,792	18,705
		4,266,713	2,556,353
სესხების გაუფასირების რეზერვი		(553,436)	(63,603)
სულ გაცემული სესხები, წმინდა		5,146,085	3,975,898

16. სხვა აქტივები

	31 ივლისი, 2019	31 ივლისი, 2018
ფინანსური მოთხოვნები		
დებიტორული მოთხოვნები	168,101	250,525
	168,101	250,525
არა-ფინანსური მოთხოვნები		
დასრულებული ლიზინგიდან მისაღები დასაკუთრებული აქივები	295,401	309,991
მარაგებუ	28,631	11,728
წინანწარ გადახდილი გადასახადები	11,829	27,783
სხვა წინასწარი გადახდები	106,587	45,130
სულ	610,549	645,157

17. საინვესტიციო ქონება

	31 ივლისი, 2019	31 ივლისი, 2018
ნაშთი წლის დასაწყისში	262,000	60,000
მატება / (კლება)	(22,000)	21,186
მოგება / (ზარალი) საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	-	180,814
ნაშთი წლის ბოლოს	240,000	262,000

სს ალიანს ჯგუფი ლიზინგი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 ივლისის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

18. ძირითადი საშუალებები

საბალანსო ღირებულება	მიწა	საოფისე დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	მსხმოიარე ნარგავები	სულ
31 ივლისი, 2017	143,257	45,504	14,897	313,325	516,983
მატება	-	-	-	-	-
31 ივლისი, 2018	143,257	45,504	14,897	313,325	516,983
მატება	-	-	-	-	-
1 ივლისი, 2019	143,257	45,504	14,897	313,325	516,983
<i>აკუმულირებული ცვეთა</i>					
31 ივლისი, 2017	-	37,617	13,724	62,620	113,961
დარიცხული ცვეთა	-	3,143	1,173	20,888	25,204
31 ივლისი, 2018	-	40,760	14,897	83,508	139,165
დარიცხული ცვეთა	-	-	-	141	141
31 ივლისი, 2019	-	40,760	14,897	83,649	139,306
31 ივლისი, 2017	143,257	7,887	1,173	250,705	403,022
31 ივლისი, 2018	143,257	4,744	-	229,817	377,818
31 ივლისი, 2019	143,257	4,744	-	229,676	377,677

19. ინვესტიციები ასოცირებულ კომპანიებში

კომპანიის ინვესტიციები ასოცირებულ და შვილობილ კომპანიაში არ აქვს 2019 წლის 31 ივლისის მდგომარეობით. 2018 წლის 31 ივლისის მდგომარეობით ეს ინვესტიცია წარმოადგენდა 20.92%-იანი წილს სს ვესტა ჯგუფში. სს ვესტა ჯგუფი დაფუძნდა 2017 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი 1 ცალი აქციის ნომინალური ღირებულება 2018 წლის 31 ივლისის მდგომარეობით შეადგენდა 1 ლარს.

	სს ვესტა ჯგუფი
31 ივლისი, 2017	1,043,482
შემცირება წლის განმავლობაში	(190,192)
31 ივლისი, 2018	853,290
შემცირება წლის განმავლობაში	(853,290)
31 ივლისი, 2019	-

20. გადასახდელი ობლიგაციები

ობლიგაციების რაოდენობა	ღირებულება	ვალუტა	საწყისი თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	31 ივლისი, 2019	31 ივლისი, 2018
11	1,000	აშშ დოლარი	13-03-18	13-03-20	9%	32,400	26,921
7	1,000	აშშ დოლარი	14-04-18	14-04-20	9%	-	17,132
7	1,000	აშშ დოლარი	24-05-18	24-05-20	9%	20,655	17,132
7	1,000	აშშ დოლარი	28-06-18	28-06-20	9%	20,655	17,132
5	1,000	აშშ დოლარი	28-06-18	28-06-20	9%	-	12,237
1000	100,000	აშშ დოლარი	15-01-19	15-01-20	9%	295,070	-
დარიცხული სარგებელი						14,038	255
სულ						382,818	90,809

21. მიღებული სესხები

	ვალუტა	31 ივლისი, 2019	31 ივლისი, 2018
გრძელვადიანი მიღებული სესხები:			
სესხები ფიზიკური პირებისგან	აშშ დოლარი	522,274	433,190
		522,274	433,190
მოკლევადიანი მიღებული სესხები:			
სესხები ბანკისგან	აშშ დოლარი	195,987	1,961,446
სესხები იურიდიული პირებისგან	აშშ დოლარი	-	146,844
სესხები ფიზიკური პირებისგან	აშშ დოლარი	1,323,957	1,347,075
სესხები ბანკისგან	ლარი	275,000	332,000
სესხები ფიზიკური პირებისგან	ლარი	247,042	130,000
სესხები ფიზიკური პირებისგან	ევრო	382,769	154,661
სხვა		94,449	154,003
დარიცხული პროცენტი		67,835	79,120

სს ალიანს ჯგუფი ლიზინგი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 ივლისის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	2,587,038	4,305,149
	3,109,312	4,738,339

22. სააქციო კაპიტალი

2013 წლის 25 ივლისის კომპანია გახდა სააქციო საზოგადოება. 2019 წლის 31 ივლისის და 2018 წლის 31 ივლისის მდგომარეობით კომპანიის სააქციო კაპიტალი შეადგენს 3,417,140 ცალს აქციას ნომინალური ღრებულებით 1 ცალი 1 ლარი, 100% აქციების მფლობელი არის აიეტი კუკავა.

23. ფინანსური რისკის მართვა

კომპანია დგას სხვადასხვა სახის რისკების წინაშე ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. რისკის უმთავრესი სახე არის საკრედიტო რისკი, ლიკვიდურობის რისკი, საბაზრო რისკი, საოპერაციო რისკი და სხვა არაფინანსური რისკები.

რისკის მართვაზე პასუხისმგებელი პირების მოვალეობაა, უზრუნველყონ, რომ კომპანია აკმაყოფილებდეს დასაშვებ რისკის დონეს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, როდესაც სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. კომპანიას არ ემუქრება მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკი, რამდენადაც კომპანიის სესხები და ნასესხები თანხები არის ფიქსირებული, დადგენილი საპროცენტო განაკვეთით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ან მყიდველთან დადებული ხელშეკრულების ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და გამოიწვევს ფინანსური ზარალის დადგომას მეორე მხარისთვის.

კომპანიას რისკი ემუქრება თავისი ძირითადი საქმიანობისგან, რადგანაც კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის კლიენტებზე სხვადასხვა ტიპის სესხების გაცემა.

საკრედიტო რისკისგან თავის ასარიდებლად, კომპანიას აქვს საკრედიტო სახელმძღვანელო და კომპანიის ყველა სესხი გაცივმა ამ სახელმძღვანელოს მითითებების შესაბამისად, კომპანია აქტიურად აკონტროლებს სესხის გაცემის პროცესს, პროცესს, სადაც ჩართულია საკრედიტო კომიტეტი, აგრეთვე იგი მონიტორინგს უწევს გაცემულ სესხებს.

კომპანია აგრეთვე გასცემს უზრუნველყოფილ სესხებს, ამგვარად ამცირებს კლიენტის გადამხდელუნარობის შემთხვევაში საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკის საფრთხე 2019 წლის 31 ივლისის და 2018 წლის 31 ივლისის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31 ივლისი, 2019	31 ივლისი, 2018
ფული საბანკო ანგარიშებზე	27,255	111,527
ფინანსური ლიზინგი	2,563,936	4,579,745
გაცემული სესხები	4,243,395	2,556,352
სხვა ფინანსური აქტივები	168,101	250,525
მიღებული სესხები	3,109,312	4,738,339
სხვა ფინანსური ვალდებულებები	382,818	95,607

სს ალიანს ჯგუფი ლიზინგი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 ივლისის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

უცხოური ვალუტის რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა ხორციელდება ლარში. სავალუტო რისკის საფრთხე მომდინარეობს კომპანიის ნაღდი ფულის და საბანკო ბალანსებიდან, რომლებიც აშშ დოლარშია დენომინირებული, აგრეთვე აშშ დოლარში დენომინირებული ნასესხები თანხებიდან.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ, ქვემოთ არის მოცემული. მოცემული თანხები არის მოწოდებული კომპანიის ხელმძღვანელობისთვის და კონვერტირებულია ლარში საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

2019	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	27,256	1	-	27,257
გაცემული სესხები	5,358,724	317,479	-	5,676,203
დებიტორული მოთხოვნები	15,840	152,261	-	168,101
ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში	717,622	1,698,991	31,067	2,447,680
სულ ფინანსური აქტივები	6,119,442	2,168,732	31,067	8,319,241
ფინანსური ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	3,523	-	-	3,523
გაცემული ობლიგაციები	-	382,818	-	382,818
მიღებული სესხები	684,326	2,042,218	382,769	3,109,312
სულ ფინანსური ვალდებულებები	687,849	2,425,036	382,769	3,495,653
ღია საბალანსო პოზიცია	5,431,593	(256,304)	(351,702)	

2018	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	104,073	7,465	-	111,538
გაცემული სესხები	3,523,769	52,581	-	3,576,350
დებიტორული მოთხოვნები	15,840	234,685	-	250,525
ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში	1,345,483	2,598,252	41,266	3,985,001
სულ ფინანსური აქტივები	4,989,165	2,892,983	41,266	7,923,414
ფინანსური ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	39,916	-	-	39,916
გაცემული ობლიგაციები	-	90,809	-	90,809
მიღებული სესხები	559,298	4,019,184	159,857	4,738,339
სულ ფინანსური ვალდებულებები	599,214	4,109,993	159,857	4,869,064
ღია საბალანსო პოზიცია	4,389,951	(1,217,010)	(118,591)	

სს ალიანს ჯგუფი ლიზინგი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 ივლისის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის მგრძნობელობას 30%-იან ზრდაზე და შემცირებას ლარში დოლართან მიმართებით. 30% წარმოადგენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების ხელმძღვანელობისეულ შეფასებას. ანალიზი „მგრძნობელობაზე“ მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ნარჩენ ფულად საშუალებებს და არეგულირებს მათ კონვერტირებას პერიოდის დასასრულისათვის უცხოური ვალუტის კურსის 30%-იანი ცვლილებით.

დადებითი სიდიდე მიუთითებს მოგება-ზარალის ზრდას, როდესაც ლარი მყარდება შესაბამისი ვალუტის მიმართ.

2019	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	GEL/USD	GEL/USD	GEL/EUR	GEL/EUR
	30%	- 30%	30%	- 30%
მოგება/(ზარალი)	(76,891)	76,891	(105,510)	105,510
2018	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	GEL/USD	GEL/USD	GEL/EUR	GEL/EUR
	30%	- 30%	30%	- 30%
მოგება/(ზარალი)	(365,103)	365,103	(35,577)	35,577

24. ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

კავშირი		დაკავშირებული მხარის ნაშთი	სულ კატეგორიის ნაშთი	დაკავშირებული მხარის ნაშთი	სულ კატეგორიის ნაშთი
ფინანსური ლიზინგის ინვესტიცია		-	2,470,036	46,781	4,226,964
ალიანს ჯგუფი ფროფერტი	საერთო კონტროლის კომპანია	-		45,122	
ალიანს ჯგუფი კაპიტალი	საერთო კონტროლის კომპანია	-		1,659	
მიღებული სესხები		1,986,349	4,746,537	50,953	3,576,350
ალიანს ჯგუფი კაპიტალი	საერთო კონტროლის კომპანია	561,695		47,753	
სს ბია	საერთო კონტროლის კომპანია	-		3,200	
სს ჰესი 1	საერთო კონტროლის კომპანია	1,424,654		-	
სხვა მიმდინარე აქტივები		143,114	610,549	165,990	645,157
ალიანს ჯგუფი ფროფერტი	საერთო კონტროლის კომპანია	143,114		165,990	
კრედიტორული დავალიანება		150	3,523	4,565	39,916
ალიანს ჯგუფი ფროფერტი	საერთო კონტროლის კომპანია	150		4,565	

სს ალიანს ჯგუფი ლიზინგი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 ივლისის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კავშირი		დაკავშირებული მხარის ტრანზაქცია	სულ კატეგორიის ბრუნვა	დაკავშირებული მხარის ტრანზაქცია	სულ კატეგორიის ბრუნვა
საპროცენტო შემოსავალი		345,428	1,145,269	33,295	1,467,793
ალიანს ჯგუფი ფროფერტი	საერთო კონტროლის კომპანია	50,721		882	
აიეტი კუკავა	დირექტორი	-		57	
ალიანს ჯგუფი კაპიტალი	საერთო კონტროლის კომპანია	-		3,218	
სს ალიანს ჯგუფი	მშობელი საწარმო	-		1,113	
ჰოლდინგი					
სს ბია	საერთო კონტროლის კომპანია	-		109	
სს ესჯიი	საერთო კონტროლის კომპანია	-		27,916	
ენერჯი					
სს ჰესი 1	საერთო კონტროლის კომპანია	294,707			
თანამშრომელთა ხარჯები		33,529	368,568	39,857	360,293
ძირითადი		33,529		39,857	
მენეჯმენტის ანაზღაურება	ძირითადი მენეჯმენტი				

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას.